

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“



სატენდერო დოკუმენტაცია

CPV კოდი - 30192000

სახელმწიფო შესყიდვა

სავარაუდო ღირებულება - 6 200 ლარი

დაფინანსების წყარო - 2017 წლის საკუთარი შემოსავლები

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება N9-ის შესაბამისად.

ქ. თბილისი

სარჩევი:

1.	ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.....	3
2.	ტექნიკური დავალება.....	3-5
3.	სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი.....	5-7
4.	აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა.....	8
5.	დანართი N1.....	9
6.	დანართი N2.....	9
7.	დანართი N3.....	10

1.1 სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები (მონაწილეობა) ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - სისტემა) www.procurement.gov.ge საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „ გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ის შესაბამისად.

1.2 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში-სისტემა) მეშვეობით. სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტის გაცნობის ვადა შეადგენს არანაკლებ ერთ სამუშაო დღეს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის სიტემაში განთავსების მომენტიდან. ამ ვადის დასრულებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში პრეტენდენტს შეუძლია სისტემის საშუალებით წარადგინოს წინადადება ქართულ ენაზე და ელექტრონული ვაჭრობის გზით შეცვალოს წარმოდგენილი წინადადების ფასი კლებადობის პრინციპითა და ფასის კლების ბიჯის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადების მიღების დასრულების ვადა ემთხვევა შაბათ-კვირას ან უქმე დღეს, სატენდერო წინადადების მიღების ვადა დასრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

1.3 სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

1.4 ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით.

1.5 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში ხელშეკრულების პროექტის სახით, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისთვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 მიმწოდებელი ვალდებულია ელექტრონული ვაჭრობის შედეგად შეთავაზებული სატენდერო წინადადების საბოლოო ფასი წარუდგინოს შემსყიდველს ახალი გადაანგარიშებით, კერძოდ: შესაბამისი ფასების ცხრილი.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

პროდუქციის დასახელება		განზ-ის ერთეული	რაოდ.
1	ბლოკნოტი ან ტყავის მაგარი ყდით. უჯრა	ცალი	30
2	რვეული ან 9რფ, ხაზი-2	ცალი	150
3	საკანცელარიო მაკრატელი 17სმ-	ცალი	90
4	შავი ფანქარი საშლელით	ცალი	200
5	საშლელი	ცალი	50
6	ფანქრის სათლელი	ცალი	50
7	პლასტიკური სწრაფჩამკერი ა4	ცალი	500
8	სკრეპი	ცალი	200
9	სიდი მარკერი	ცალი	30
10	დაფის მარკერი	ცალი	50
11	ტექსტ მარკერი	ცალი	100
12	ბურთულიანი საწერი კალამი დილაკით ლურჯი	ცალი	2000

13	კალკულატორი 12 თანრიგის	ცალი	20	
14	პლასტმასის სახაზავი 30სმ	ცალი	100	
15	ანტისტეპლერი ჩამკეტით	ცალი	30	
16	სტეპლერის ტყვია 24/6	ცალი	300	
17	სტეპლერი 24/6	ცალი	100	
18	ბაინდერი ა4 განიერი, ჩამაგრებული მექანიზმით	ცალი	300	
19	ფერადი ჩასანიშნი გამჭვ. ყუთით	ცალი	50	
20	წებოვანი ჩასანიშნი 400ფ. 2ფერი	ცალი	150	
21	მშრალი წებო 15გრ.	ცალი	150	
22	მშრალი წებო 36გრ.	ცალი	150	
23	შესაფუთი სკოჩი 200მ.	ცალი	20	
24	სამაგიდე ნაკრები- ორგანიზერი მრგვალი 17 საგნიანი	ცალი	30	
25	საკანცელარიო თარო მეტალის 3-იანი	ცალი	30	
26	კორექტორი ფუნჯით	ცალი	70	
27	კორექტორი კალამი	ცალი	200	
28	მეტალის ურნა ბადისებური	ცალი	30	
29	სალაროს თერმული ლენტა	ცალი	200	
30	კომპაქტ დისკი CD	ცალი	1000	
31	კომპაქტ დისკი DVD	ცალი	100	
32	კონვერტი ა4	ცალი	1000	
33	დიპლომატი კონვერტი	ცალი	500	
34	ასაკინძი ზამზარა 10მმ	ცალი	100	
35	ასაკინძი ზამზარა 14მმ	ცალი	100	
36	ასაკინძი ზამზარა 12მმ	ცალი	100	
37	ასაკინძი ზამზარა 16მმ	ცალი	100	
38	ასაკინძი ყდა გამჭვირვალე (პლასტიკური)	ცალი	400	
39	ასაკინძი ყდა მუყაო (ლურჯი/თეთრი)	ცალი	400	
40	ლამინატორი ა4 125მკმ	ცალი	1	
41	ლამინატორის ფირი ა4 125მკმ	ცალი	1000	
42	შესაფუთი სკოჩის აპარატი	ცალი	2	

3. მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი:

- 3.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ერთიანად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, 2017 წლის 25 თებერვლის ჩათვლით..
- 3.2 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ქალაქ თბილისში, გუდაუთის ქ. N7-ში.
- 3.3 მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს, მოთხოვნებს და უნდა იყოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო.
- 3.4 შესყიდვის ობიექტის ვარგისიანობის ვადა არ უნდა იყოს 1 წელზე ნაკლები მიწოდების მომენტიდან.

4. ანგარიშსწორების პირობები:

ა. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადისა და ხარჯის გათვალისწინებით,

ბ. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ფორმით, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

გ. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის (სასაქონლო ზედნადებისა ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) წარმოდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში, **ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების შესაბამისად.**

დ. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება

ე. დაფინანსების წყარო : შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ 2017 წლის საკუთარი სახსრები.

5. დამატებითი მოთხოვნები

ა. სატენდერო წინადადება, აგრეთვე, ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

ბ. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

გ. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით, როგორცაა: ტრანსპორტირების ხარჯები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები (მათ შორის - დღგ) და მოსაკრებლები.

დ. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში- ლარში.

ე. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტი ვალდებულია დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით), სასაქონლო ზედნადებით ან/და მიღება-ჩაბარების აქტით.

6. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი დოკუმენტებია:

ა) სატენდერო წინადადების ფასი, ფასების ცხრილი, საქონლის მიწოდების ვადები და საქონლის ტექნიკური მახასიათებლები დანართი N1-ის შესაბამისად;

ბ) სატენდერო წინადადება - დანართი N2-ის შესაბამისად;

გ) რეკვიზიტები - დანართი N3-ის მოთხოვნათა შესაბამისად;

დ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისთვის უფლებამოსილი პირი მიერ გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში);

ე) ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა);

7. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) პრეტენდენტის სრული დასახელება და რეკვიზიტები;

ბ) მიმწოდებლის ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი;

გ) საკონტაქტო პირის სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი;

დ) მიმწოდებლის ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით (არსებობის შემთხვევაში) სამოქმედო ტექნიკური დავალების შესაბამისად შედგენილი ფასების ცხრილი, საქონლის აღწერილობის, რაოდენობის, ერთეულისა და საერთო ღირებულების მითითებით (დანართი N1)

ე) პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადებების მიღების დაწყების თარიღიდან „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე (დანართი N2)

შენიშვნა: გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ვაჭრობის

შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასების ცხრილი. ფასების ცხრილი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრ“-ში, ქალაქი თბილისი, ჯავახიშვილის ქ N51, საკონტაქტო პირი: ანი მიქიაშვილი 595 030773

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი ხელშეკრულება N

ეს დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. ამ ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილისი 2017 წელი
ერთის მხრივ შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ს/კ 236035517)
ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი – ნუგზარ ბოლქვაძე (პ/ნ 01008008307) (შემდგომში „შემსყიდველი“) მისამართი: ქ.თბილისი ჯავახიშვილის ქუჩა #51 და მეორეს მხრივ, _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“) ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი _____, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (SPA) ჩატარების შედეგად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.
- 1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საქონლის შესყიდვას.
- 1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“-ისათვის – CPV 30192000 „საკანცელარიო ნივთები“-ს მიწოდება უნდა განხორციელდეს ერთიანად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, 2017 წლის 25 თებერვლის ჩათვლით.
- 2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV – 30192000 „საკანცელარიო ნივთები“-ს სრული ჩამონათვალი და აღწერა, რაოდენობა, ერთეულის ფასი და მთლიანი ღირებულება მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს.
- 3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

- 4.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება ფასების ცხრილში მითითებული ფასების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად, საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.
- 4.2. ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს, მხოლოდ შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ გაფორმებული შესაბამისი (მიღება-ჩაბარების აქტი) დოკუმენტაციის ხელმოწერის შემდეგ.

6. ხარისხი და გარანტია

6.1 შესყიდვის ობიექტი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6.2 შესყიდვის ობიექტის ვარგისიანობის ვადა არ უნდა იყოს 1 წელზე ნაკლები მიწოდების მომენტიდან.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და შესყიდვის ობიექტის ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს მიაწოდოს შესყიდვის ობიექტი მოქმედი ნორმებისა და წესების დაცვით, სათანადო ხარისხის და სრული ტექნიკური უზრუნველყოფით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.

ბ) შესყიდვის ობიექტის რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია მიმწოდებლის მიზიზებით ან არის ქარხნული წუნი, გონივრულ ვადაში საკუთარი ხარჯებით შეცვალოს აღნიშნული საქონელის ნორმალური საქონლით–ნივთით.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი პირი ან პირთა ჯგუფი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესყიდვის ობიექტის რაოდენობის, მიწოდების ვადებისა და ხარისხის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

9.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება პირგასამტეხლოს სახით, კერძოდ: შეუსრულებელი ვალდებულების 0,2%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მასზედ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის _____ და/ან მხარეთა მიერ ვალდებულებების დადგენილ ვადებში სრულ შესრულებამდე.

14. სხვა პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად (ორი შემსყიდველს, ერთი მიმწოდებელს).

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ს/კ 236035517)	
ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი ნუგზარ ბოლქვაძე (პ/ნ 01008008307)	ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი-
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიშის ნომერი: GE86LB0113112241617000	საბანკო რეკვიზიტები: ბანკის კოდი: ანგარიშის ნომერი:
ხელმოწერა: -----	ხელმოწერა: -----

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ცალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვანერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმუღავნებია ან/და არ გაუმუღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯარობის მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოდგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.

პროდუქციის დასახელება		განზ-ის ერთეუ ლი	რაოდ	ერთ/ ფ	მთ/ ფ	მწარმოებ ელი ქვეყანა და კომპანია
1	ბლოკნოტი ა5 ტყავის მაგარი ყდით. უჯრა	ცალი	30			
2	რვეული ა5 9ფ, ხაზი-2	ცალი	150			
3	საკანცელარიო მაკრატელი 17სმ-	ცალი	90			
4	შავი ფანქარი საშლელით	ცალი	200			
5	საშლელი	ცალი	50			
6	ფანქრის სათლელი	ცალი	50			
7	პლასტიკური სწრაფჩამკერი ა4	ცალი	500			
8	სკრეპი	ცალი	200			
9	სიდი მარკერი	ცალი	30			
10	დაფის მარკერი	ცალი	50			
11	ტექსტ მარკერი	ცალი	100			
12	ბურთულიანი საწერი კალამი ღილაკით ლურჯი	ცალი	2000			
13	კალკულატორი 12 თანრიგიანი	ცალი	20			
14	პლასტმასის სახაზავი 30სმ	ცალი	100			
15	ანტისტეპლერი ჩამკეტით	ცალი	30			
16	სტეპლერის ტყვია 24/6	ცალი	300			
17	სტეპლერი 24/6	ცალი	100			
18	ბაინდერი ა4 განიერი, ჩამაგრებული მექანიზმით	ცალი	300			
19	ფერადი ჩასანიშნი გამჭვ. ყუთით	ცალი	50			
20	წებოვანი ჩასანიშნი 400ფ. 2ფერი	ცალი	150			
21	მშრალი წებო 15გრ.	ცალი	150			
22	მშრალი წებო 36გრ.	ცალი	150			
23	შესაფუთი სკოჩი 200მ.	ცალი	20			
24	სამაგიდე ნაკრები- ორგანიზერი მრგვალი 17 საგნიანი	ცალი	30			
25	საკანცელარიო თარო მეტალის 3-იანი	ცალი	30			
26	კორექტორი ფუნჯით	ცალი	70			
27	კორექტორი კალამი	ცალი	200			
28	მეტალის ურნა ბადისებური	ცალი	30			
29	სალაროს თერმული ლენტა	ცალი	200			
30	კომპაქტ დისკი CD	ცალი	1000			
31	კომპაქტ დისკი DVD	ცალი	100		ცალი	1000
32	კონვერტი ა4	ცალი	1000			
33	დიპლომატი კონვერტი	ცალი	500			
34	ასაკინძი ზამზარა 10მმ	ცალი	100			
35	ასაკინძი ზამზარა 14მმ	ცალი	100			

36	ასაკინძი ზამბარა 12მმ	ცალი	100			
37	ასაკინძი ზამბარა 16მმ	ცალი	100			
38	ასაკინძი ყდა გამჭვირვალე (პლასტიკური)	ცალი	400			
39	ასაკინძი ყდა მუყაო (ლურჯი/თეთრი)	ცალი	400			
40	ლამინატორი ა4 125მკმ	ცალი	1			
41	ლამინატორის ფირი ა4 125მკმ	ცალი	1000			
42	შესაფუთი სკოჩის აპარატი	ცალი	2			
	მთლიანი ღირებულება					
	თანხა სიტყვიერად					
	ხელმოწერა და ბეჭედი (არსებობის შემთხვევაში)					

დანართი N2

ს ა ტ ე ნ დ ე რ ო წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

თარიღი: -----

ვის: -----

(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

ვისგან: -----

(პრეტენდენტის დასახელება და მისამართი)

შევსწავლეთ რა სატენდერო დოკუმენტაცია თანახმა ვართ სატენდერო

დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ -----

(მომსახურების აღწერა)

გაწევა და გთავაზობთ ზემოაღნიშნულის შესრულებას შემდეგ ფასად:

----- ლარი.

(ციფრებით) (სიტყვიერად)

ჩვენი სატენდერო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში, ვიღებთ ვალდებულებას დავიწყოთ და დავასრულოთ მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

სატენდერო წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადებების მიღების დაწყების თარიღიდან „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

სატენდერო წინადადებას თან ახლავს შემდეგი დანართები (გვერდების რაოდენობის მითითებით):

1.

2.

3.

----- (ხელმოწერა)

(თანამდებობა)

დანართი N3

პრეტენდენტის რეკვიზიტები

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება;
- ხელმძღვანელის/უფლებამოსილი პირის ან ფიზიკური პირის სახელი და გვარი;
- პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი;
- საიდენტიფიკაციო კოდი;
- პრეტენდენტის საკონტაქტო რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი; ელექტრონული მისამართი;
- საბანკო რეკვიზიტები: ბანკის დასახელება და კოდი; ბანკში ანგარიშის ნომერი.

(თანამდებობა: სახელი და გვარი)

(ხელმოწერა)